

2012

წელი

“საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია”

აღმასრულებელი საბჭოს

ანგარიში

თბილისი

25.11.2012 წელი



2012 წელს ჩატარდა აღმასრულებელი საბჭოს 15 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 86 გადაწყვეტილება. ამავე პერიოდში ასოციაციამ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს იანვრის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც 2012-2013 წლების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა დაიწყო. განხილულ იქნა სტრატეგიული მიზნების მიღწევის, შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდები. სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოიკვეთა ასოციაციის ოთხი ძირითადი სტრატეგიული მიზანი: ადვოკატის უფლებების დაცვა და პროფესიული საქმიანობის ხელშეწყობა; ასოციაციის წევრების პროფესიონალიზმის ამაღლებისა და საადვოკატო პრაქტიკაში სათანადო პროფესიული და ეთიკური სტანდარტების უზრუნველყოფა; მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების და სამართლის უზენაესობის ხელშეწყობა; ასოციაციის, როგორც მართლმსაჯულების სფეროში მოქმედი ინსტიტუტის შემდგომი განვითარება და გაძლიერება. სტრატეგიულ გეგმაში ასახული ძირითადი მიზნების მისაღწევად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ყველა პრიორიტეტული მიმართულებით. სტრატეგიით დაგეგმილი აქტივობების უმეტესი ნაწილი დღეისათვის უკვე შესრულებულია.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აგრძელებს სხვა ქვეყნების ასოციაციებსა და მსგავს ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებასა და საერთო პროექტების განხორციელებას. მოლაპარაკების შედეგად მიმდინარე წლის იანვრიდან დიდი ბრიტანეთის და უელსის სამეფოს იურისტთა მართვის ორგანომ (Solicitors Regulation Authority, SRA) საქართველო შეიყვანა თავის მიერ აღიარებული ქვეყნების სიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრიტანეთში მყოფ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრს შესაძლებლობა ექნება მოიპოვოს Solicitor-ის სტატუსი.

7 თებერვლის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, შემუშავებულ იქნა სტაჟიორთა რეგისტრაციის ფორმა; ამოქმედდა საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ მუხლი, რომლის მიხედვითაც ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო იღებს გადაწყვეტილებას პირის სტაჟიორად გამწესების შესახებ. ასოციაციაში ადვოკატის სტაჟიორად 2012 წელს რეგისტრირებულია 134 პირი.

20-21 აპრილს ასოციაციის თავმჯდომარე მიწვეული იყო ევროპის ადვოკატთა და იურისტთა ასოციაციების საბჭოს (CCBE) პლენარულ სესიაზე. აღნიშნულ შეხვედრაზე ასოციაციის თავმჯდომარემ სესიის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია იმ პრობლემების

შესახებ, რომელთა წინაშეც დგანან ქართველი ადვოკატები. მან ასევე ისაუბრა არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე.

2012 წლის მარტიდან ადვოკატთა ასოციაციამ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწე ადვოკატებისათვის სხვადასხვა სახის პრესა გამოიწერა.

აღმასრულებელი საბჭოს 14 მარტის გადაწყვეტილებით შეიქმნა ადვოკატის პროფესიის მარეგულირებელ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი, რომლის მიზანი იყო საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება. ჯგუფი შედგებოდა ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზო კომისიის წევრებისგან. ჯგუფში მოწვეულნი იყვნენ საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის, საერთაშორისო ორგანიზაციების და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ დროისთვის კანონპროექტზე მუშაობა დასრულებულია. შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები და ცვლილებების პაკეტი, რომლის ინიცირება იგეგმება უახლოეს მომავალში.

2012 წლის აპრილში, ადვოკატთა ასოციაციის მოწვევით საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია. მისიის წევრები შეხვდნენ ადვოკატებს. პრობლემების ადგილზე გაცნობისა და შექმნილი სიტუაციის ანალიზის შემდეგ, მომზადდა შესაბამისი დასკვნა და რეკომენდაციები.

ასოციაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ახალგაზრდა თაობის იურიდიულ განათლებაზე ზრუნვა, ადვოკატთა პროფესიის პოპულარიზება და ადვოკატთა კორპუსის საზოგადოებაში ინტეგრირება. ამ მიზნით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ სხვადასხვა უნივერსიტეტებთან გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია ერთობლივი სამართლებრივი კვლევების წარმართვა, საგანმანათლებლო საქმიანობისა და სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება. ასოციაციის მხარდაჭერით სტუდენტები დღესაც გადიან სტაჟირებას თბილისსა და რეგიონებში არსებულ იურიდიულ ფირმებში და ასოციაციის აპარატში. სტუდენტებისთვის ასოციაციის პრესსამსახურის მენეჯერის ორგანიზებით ჩატარდა მედიატურები. ახალგაზრდები გაეცნენ ასოციაციის საქმიანობას, დასვეს მათთვის საინტერესო კითხვები და გამოხატეს თავისი მოსაზრებები. მსგავსი ღონისძიებები იგეგმება მომავალშიც.

2012 წლის 22 ოქტომბრის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადვოკატებისთვის სოციალური დახმარების ფონდის შექმნის შესახებ. აღნიშნული საკითხი ასოციაციის საერთო კრებაზე იქნება განხილული.

იურიდიული პროფესიის განვითარების ხელშეწყობის, ადვოკატთა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით, ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG)-ის დაფინანსებით, დაფუძნდა და 8 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა ადვოკატთა ასოციაციის იურიდიული ბიბლიოთეკა, რომლის ძირითადი ბენეფიციარები ადვოკატები, სტაჟიორები და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები არიან. იურიდიული პროფესიის განვითარების ხელშეწყობა, ადვოკატთა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლება; ადვოკატების ელექტრონული ინფორმაციით უზრუნველყოფა; ადვოკატთა პროფესიული დონის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზების ხელშეწყობა, იურიდიული ბიბლიოთეკის ძირითადი მიზნებია.

ბიბლიოთეკის შემდგომი განვითარებისთვის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და საქართველოს პარლამენტის „ილია ჭავჭავაძის“ სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ხელს შეუწყობს სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას, ერთობლივი კონფერენციების, სემინარებისა და დისკუსიების ჩატარებას.

ევროსაბჭოს დაფინანსებით შეიქმნა ადვოკატთა რეესტრისა და „კეის მენეჯმენტის“ სისტემის სპეციალური პროგრამა, რომელიც ადვოკატებს პირადი საქმის წარმოებას გაუადვილებს. ასევე, ადვოკატებს ექნებათ შესაძლებლობა ასოციაციის საიტზე განთავსებული პროგრამის საძიებო სისტემის მეშვეობით მოიძიონ ადვოკატების შესახებ ყველა სახის საჯარო ინფორმაცია.

ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლობის (UN OHCHR) მხარდაჭერით, საქართველოში ჩატარდა კვლევა „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა შორის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში სასწავლო საჭიროებების შესახებ“, რომლის შედეგად გამოიკვეთა ადვოკატთა თეორიული ცოდნის კონკრეტული ხარვეზები, რომლებზედაც თავად გამოკითხული ადვოკატები უთითებდნენ კვლევის პროცესში. დაისახა აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის კონკრეტული გზები და საშუალებები.

ნოემბერში, USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის JILEP-ის დაფინანსებით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

მმართველმა ორგანომ რეგიონებში მომუშავე ადვოკატებთან შეხვედრები გამართა. ადვოკატებმა მოისმინეს 2012 წლის ანგარიში, გაეცნენ "ადვოკატთა შესახებ" კანონში შემუშავებული ცვლილებების პაკეტს და ერთობლივად განიხილეს მომავალი წლის გეგმები.

USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის JILEP-ის დაფინანსებით, მომზადდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შიდა და გარე კომუნიკაციის სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომუნიკაციის, იმიჯის, როლის, მნიშვნელობის ცნობადობის გაზრდას საზოგადოებაში, პარტნიორებსა და დონორ ორგანიზაციებში.

ამ საანგარიშო პერიოდში ასოციაციის თავმჯდომარის 12 პრესკონფერენცია ჩატარდა. პრესით გავრცელდა თავმჯდომარის 42, ხოლო აღმასრულებელი საბჭოსა და ეთიკის კომისიის წევრების 20-ზე მეტი ინტერვიუ სხვადასხვა აქტუალურ თემებზე: ადამიანის უფლებების შელახვა, სასამართლო სისტემის რეფორმის აუცილებლობა, ადვოკატთა პროფესიული ცოდნის ამაღლება, ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის ანგარიშის მიმოხილვა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ხარვეზებს, ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის ხელშეწყობასა და მრავალი სხვა.

პრესსამსახურის მიერ, პერმანენტულად მზადდებებოდა მიმართვები ადვოკატებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი. ადვოკატთა ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს ისეთ მედია საშუალებებთან, როგორებიცაა რადიო „იმედი“, რადიო „პალიტრა“, საინფორმაციო სააგენტოები „პირველი“, „ინტერპრესსნიუსი“, „ინფო 9“, „for.ge“. მედიაკავშირი „ობიექტივი“, ტელევიზიები: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „მაესტრო“, „9 არხი“, „რუსთავი2“.

ასოციაციაში გაწევრიანებულ პირთა სტატისტიკა

- ✓ დღეისათვის ასოციაციაში ირიცხება 3850 მოქმედი ადვოკატი;
- ✓ 2012 წლის განმავლობაში ასოციაციაში გაწევრიანდა 218 პირი: 53- სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, 78-სამოქალაქო სამართლით, 86- საერთო სპეციალიზაციით.
- ✓ აღნიშნულ პერიოდში პირადი განცხადებით ასოციაციის წევრობა შეიჩერა 80 ადვოკატმა, ხოლო წევრობა აღუდგა 31 ადვოკატს.

განგრძობადი იურიდიული განათლების კომისია

2012 წლიდან ამოქმედდა ადვოკატთა განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემა, რომელიც ემსახურება ასოციაციის წევრების პროფესიონალიზმის ამაღლებასა და პროფესიული საადვოკატო ეთიკის სტანდარტების დამკვიდრებას, რაც ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური, ეთიკური საადვოკატო პრაქტიკის განხორციელებას საქართველოში.

2011 წელს განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიამ შეიმუშავა კონცეფცია, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის ძირითადი საკითხები.

2012 წლის განმავლობაში გ.ი.გ-ის კომისიამ ადვოკატებისთვის ტრენინგების დაგეგმვის კუთხით, ითანამშრომლა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და აკრედიტაცია მიანიჭა შემდეგ ღონისძიებებს:

- ეროვნული კონფერენცია - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი;
- ტრენინგი მედიაციის საკითხებზე-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი;
- British Legal Centre – ის მიერ ორგანიზებული კურსები „სამართლებრივი მართლწერა“.
- "საგადასახადო სამართლის აქტუალური საკითხები" – ტრენინგი ჩატარდა სასწავლო ცენტრის მიერ JILEP-ის თანადაფინანსებით.
- "ვალდებულებითი სამართლის აქტუალური საკითხები" – ტრენინგი ჩატარდა ასოციაციის დაფინანსებით;
- "სოციალური დაცვის გარანტიები საოციალურად დაუცველი პირებისთვის" – ტრენინგი ჩატარდა UNDP-ის (გაეროს განვითარების პროგრამის) დაფინანსებით;
- "იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები" – ტრენინგი ჩატარდა UNDP-ის (გაეროს განვითარების პროგრამის) დაფინანსებით;
- "სააღსრულებო წარმოების ძირითადი საკითხები"- ტრენინგი ჩატარდა UNDP-ის (გაეროს განვითარების პროგრამის) დაფინანსებით;
- "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და გასაჩივრების მექანიზმები" ტრენინგი ჩატარდა UNDP-ის (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის) დაფინანსებით.
- გ.ი.გ.-ის კომისიის მიერ ინსტიტუციონალური აკრედიტაცია მიენიჭა ამერიკის იურისტთა ასოციაციას (ABA).

აღმასრულებელი საბჭოს 2012 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით განგრობადი იურიდიული განათლების კომისია გადაკეთდა სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭოდ შემდეგი ფუნქციის შესასრულებლად:

- ✓ სასწავლო ცენტრში მოწვეული ექსპერტების/ტრენერების შერჩევის კრიტერიუმების დადგენა;
- ✓ სილაბუსების დამტკიცება;
- ✓ ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის პრიორიტეტების განსაზღვრა;
- ✓ სასწავლო ცენტრისთვის რეკომენდაციების გაცემა.

ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი არის ორგანო, რომელიც შექმნილია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა ასოციაციის წესდების შესაბამისად.

სასწავლო ცენტრის მიზანია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ყოველმხრივ ხელშეწყობა და ცენტრის ინსტიტუციური გაძლიერება.

სასწავლო ცენტრი დასახული მიზნების მისაღწევად ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- ა) ორგანიზებას უწევს ტრენინგებს, სემინარებს, ლექციებს, სამუშაო შეხვედრებს, კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის;
- ბ) თანამშრომლობს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;
- გ) შეიმუშავებს დამოუკიდებელ სასწავლო პროგრამებს და აკრედიტაციის მისაღებად მიმართავს აღმასრულებელ საბჭოს.
- დ) სამ თვეში ერთხელ აღმასრულებელ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს აკრედიტებული კურსების/ტრენინგების და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;
- ე) შეიმუშავებს დამხმარე და მეთოდოლოგიურ ლიტერატურას, შეიმუშავებს და ავითარებს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ცალკეულ სტანდარტებს;
- ვ) საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე ადგენს ექსპერტების და ტრენერების შერჩევის კრიტერიუმებს;
- ზ) ყოველწლიურად განსაზღვრავს ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭიროებებს, სპეციალური კითხვარისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით;
- თ) განსაზღვრავს ცენტრის სტრატეგიულ გეგმებს;

- ი) შეიმუშავებს და ახორციელებს პროექტებს;
- კ) ამზადებს დისტანციური სწავლების მეთოდოლოგას;
- ლ) ატარებს სხვადასხვა ტიპის სასწავლო კურსებს განგრძობადი იურიდიული განათლების პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის;

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეიქმნა სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭო, შემდეგი ფუნქციის შესასრულებლად: ექსპერტების/ტრენერების შერჩევის კრიტერიუმების დადგენა, სილაბუსების დამტკიცება, სასწავლო ცენტრისთვის რეკომენდაციების გაცემა.

საგანმანათლებლო საბჭო შედგება 7 წევრისგან, მათი შემადგენლობა დაკომპლექტებულია პრაქტიკოსი ადვოკატებითა და სამეცნიერო წრის წარმომადგენლებით: ზვიად კორძაძე, იოსებ ბარათაშვილი, ზაზა ბიბილაშვილი, კობა ბოჭორიშვილი, ქეთევან ქვარცხავა, გოჩა სვანიძე, ზაზა რუხაძე.

2012 წლის განმავლობაში სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: განგრძობადი იურიდიული განათლების კონცეფციის საფუძველზე სასწავლო ცენტრმა აიღო პასუხისმგებლობა ორგანიზება გაეწია ადვოკატთა ტრენინგებისთვის პროფესიული ეთიკის შესახებ. 2011 წელს ცენტრის მიერ შემუშავდა პროექტი "ეთიკა განგრძობად იურიდიულ განათლებაში", რომელიც ითვალისწინებდა ქ. თბილისსა და ქუთაისში ადვოკატებისთვის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის შესახებ ტრენინგების ორგანიზებას. აღნიშნული პროექტის საფუძველზე, 2012 წლიდან ადვოკატთა პროფესიულ ეთიკაში ტრენინგების ორგანიზება ხორციელდება USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის JILEP-ის თანადაფინანსებით, რომელსაც საქართველოში ახორციელებს East West Management Institute-ი.

მიღწეული შედეგი:

- ✓ ადვოკატთა პროფესიულ ეთიკაში ტრენინგი გავლილი აქვს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა უმრავლესობას;
- ✓ 2012 წელს ჩატარებული ტრენინგების ყველა მონაწილეს გადაეცა ეთიკის კოდექსი და ეთიკის კოდექსის კომენტარები;
- ✓ შეფასების კითხვარის მეშვეობით 3000-მდე ადვოკატმა გამოთქვა მოსაზრება ეთიკის ტრენინგების შესახებ. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: ადვოკატთა 98,8% ფიქრობს, რომ ეთიკის ტრენინგზე მიღებული ცოდნა გამოადგება პრაქტიკულ საქმიანობაში, ტრენინგის ზოგად შეფასებაში დადებითი შეფასება გამოვლინდა 94,8%-ის მიერ, სასწავლო ცენტრის მიერ ტრენინგის ორგანიზება დადებითად შეფასდა 95,7%-ის მიერ. კითხვაზე "რამდენად ხელმისაწვდომია

ინფორმაცია პროფესიული ეთიკის საკითხებზე" 97,9% ადვოკატებისა ფიქრობს, რომ ხელმისაწვდომია.

2012 წელს სასწავლო ცენტრსა და საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის წარმომადგენლობას შორის (NORLAG) გაფორმდა კონტრაქტი, რომლის თანახმადაც NORLAG-ის თანადაფინანსებით სასწავლო ცენტრი ორგანიზებას უწევს ადვოკატთა ტრენინგებს თემაზე "სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთება სისხლის სამართლის საქმეებზე, უდანაშაულობის პრეზუმპცია და მხარეთა თანასწორობა". კონტრაქტი ითვალისწინებს 2900 ადვოკატის, სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის წევრების, კვალიფიკაციის ამაღლებას. ტრენინგები აკრედიტებულია და ადვოკატებს ეძლევათ საშუალება დააგროვონ სავალდებულო კრედიტები.

საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით სასწავლო ცენტრმა ორგანიზება გაუწია ტრენინგებს სხვადასხვა თემებზე:

- ✓ "საგადასახადო სამართლის აქტუალური საკითხები" – ტრენინგი ჩატარდა JILEP-ის თანადაფინანსებით.
- ✓ "ვალდებულებითი სამართლის აქტუალური საკითხები" – ტრენინგი ჩატარდა ასოციაციის დაფინანსებით;
- ✓ "სოციალური დაცვის გარანტიები საოციალურად დაუცველი პირებისთვის" ტრენინგი ჩატარდა UNDP-ის (გაეროს განვითარების პროგრამა) დაფინანსებით;
- ✓ "იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები" ტრენინგი ჩატარდა UNDP-ის (გაეროს განვითარების პროგრამა) დაფინანსებით;
- ✓ "სააღსრულებო წარმოების ძირითადი საკითხები" ტრენინგი ჩატარდა UNDP-ის (გაეროს განვითარების პროგრამა) დაფინანსებით;
- ✓ "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და გასაჩივრების მექანიზმები" UNDP-ის (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი) დაფინანსებით.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა

2012 წლის ივნისში სასწავლო ცენტრმა ორგანიზება გაუწია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 842-მა იურისტმა, ხოლო 2012 წლის ნოემბრის გამოცდაზე დარეგისტრირებულია 636 მონაწილე.

2012 წლის ნოემბერში უცხოელი ექსპერტებისა და სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა სასწავლო ცენტრის სამომავლო სტრატეგია.

სისხლის სამართლის კომიტეტი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად საგანს წარმოადგენს იმ ვითარების შესწავლა „განალიზება და შეფასება, რომელიც დღეისათვის შექმნილია ქვეყანაში სისხლის სამართლის სფეროში. როგორც იურისტებისათვის, ასევე ფართო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი ის პრობლემები, რომლებიც დღეისათვის არსებობს სისხლის სამართალში, როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო და საგამომიებო პრაქტიკის თვალსაზრისით; კერძოდ, სისხლის სამართლის პროცესი დაცვისა და ბრალდების მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციები და ამოცანები, აღკვეთის ღონისძიების შერჩევის თაობაზე საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისობა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან და სხვა საერთაშორისო ნორმებთან, წინასასამართლო სხდომა და სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის თავისებურებები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი იმ ნორმების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, რომლებიც შეეხება სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს, სასჯელის დანიშვნას დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს, დანაშაულის აღმსრულებლობას და დანაშაულში თანამონაწილეობას, სასჯელის შეჯამების წესს, მოწმისა და დაზარალებულის პასუხისმგებლობას მათ მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების დროს და ა.შ

აქედან გამომდინარე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის საქმეთა კომიტეტში ჩამოყალიბდა შემდეგი კონკრეტული მიმართულებები:

1. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული პრობლემების შესწავლა, განალიზება და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც წარდგენილი იქნება ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოების წინაშე. ამ მიმართულებით გადადგმული იქნა შემდეგი ნაბიჯები:
 - 1.1. ჩატარდა კომიტეტის წევრთა არჩევნები და ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა სისხლის სამართლის კომიტეტი 12 წევრის შედგენილობით. სისხლის სამართლის კომიტეტში ექსპერტებად მოწვეულნი იქნენ ცნობილი მეცნიერებები და იურისტები : ბ--ნი ოთარ გამყრელიძე, ბ--ნი მინდია უგრეხელიძე, ქ--ნი ნინო გვენეტაძე და ქ--ნი თეა წულუკიანი.

1.2. იქიდან გამომდინარე, რომ მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გარკვეული საკითხები არასრულყოფილად არის დარეგულირებული და ამ თვალსაზრისით სასამართლო პრაქტიკაც არასწორად ვითარდება, 2012 წლის მარტში სისხლის სამართლის კომიტეტის მიერ შემუშავებულ იქნა მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების საკანონმდებლო პაკეტი, რომლის პრეზენტაციაც გაიმართა 2012 წლის 2 თებერვალს. პრეზენტაციაზე მოისმინეს ცნობილი იურისტების, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული წინადადადებები, რომლებიც ასევე აისახა კომიტეტის მიერ მომზადებულ პაკეტში. მას, შემდეგ, რაც შემუშავებულ კანონპროექტს მიეცა საკანონმდებლო სახე, ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ ლიდერების დახმარებით, იგი წარედგინა საქართველოს პარლამენტს. აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი არ მოიცავს მხოლოდ დაზარალებულისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებების თვალსაზრისით უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს.

1.3. კომიტეტის წევრებისა და მოწვეული ექსპერტების მიერ წაკითხულ იქნა მოხსენებები სისხლის სამართლის სფეროში არსებულ პრობლემატურ საკითხებზე. კერძოდ, შემდეგი მოხსენებები:

- ✓ „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით“, მომხსენებელი ბ-ნი სანდრო ბარამიძე;
- ✓ „აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების მიზნები და საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან“, მომხსენებელი იოსებ ბარათაშვილი;
- ✓ „არასულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა“, მომხსენებელი ქ-ნი ნინო გვენეტაძე;
- ✓ „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1 პუნქტის შინაარსი ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების კონტექსტში“, მომხსენებელი ქ-ნი თეა წულუკიანი;
- ✓ „სასჯელის დანიშვნა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით და ამ საკითხში საკანონმდებლო ნორმების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან“, მომხსენებელი ბ-ნი ოთარ გამყრელიძე;
- ✓ „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი-სიცოცხლის უფლება“, მომხსენებელი ბ-ნი მინდია უგრეხელიძე.

- ✓ „საპროცესო შეთანხმება ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით“, მომხსენებელი ქ-ნი ნინო გვენეტაძე და ქ-ნი მანანა კობახიძე;
- ✓ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 371¹ მუხლის არსი და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან“, მომხსენებელი ქ-ნი ნინო გვენეტაძე;
- ✓ „წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი“ (კრებულის პრეზენტაცია), მომხსენებელი ბ-ნი ბესარიონ ბოხაშვილი;
- ✓ „წინასასამართლო სხდომა და საქმის არსებითი განხილვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით“, მომხსენებლები ქ-ნი ნინო გვენეტაძე და ბ-ნი მინდია უგრეხელიძე;
- ✓ „სისხლის სამართლის პრინციპები“, მომხსენებელი ბ-ნი მინდია უგრეხელიძე;
- ✓ ორგანიზებულ დანაშაულთან და რეკეტთან ბრძოლის წინააღმდეგ საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემები- მომხსენებლები ბ-ნი ოთარ გამყრელიძე და ბ-ნი გია ტაბლიაშვილი.

ასევე საჭიროდ მიგვაჩნია კონფერენციების, სემინარებისა და სხვა სახის შეხვედრების ჩატარება, რომლებზეც განიხილება სისხლის სამართლის სფეროში არსებული კონკრეტული პრობლემები.

2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის საქმეთა კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენს სისხლის სამართლის სფეროში სასამართლო და საგამომიებო პრაქტიკის შესწავლა, რაც გამოიხატება კომიტეტისთვის წარდგენილი სისხლის სამართლის იმგვარი საქმეების შესწავლაში, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების დაინტერესების საგანს და გააჩნიათ მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და ზოგადად სამართლის განვითარების თვალისაზრისით. სისხლის სამართლის ამგვარი საქმეების შერჩევის კრიტერიუმები დადგინდება კომიტეტის რეგლამენტით, რომელიც დამტკიცდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ.

ამ მიმართულებით კომიტეტში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

2.1. არჩეულ იქნა სისხლის სამართლის კომიტეტის ანალიტიკური ჯგუფი კომიტეტის წევრ- გიორგი ქოიავას თავმჯდომარეობით. აღნიშნული ჯგუფი დაკომპლექტდა ადვოკატებითა და ექსპერტებით;

- 2.2. ანალიტიკური ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა ჯგუფის დებულება და სპეციალური ანკეტა, რომლებითაც განისაზღვრა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების ანალიტიკურ ჯგუფში წარდგენის, შესწავლის, მათი მისაღებობისა და დასკვნის შედგენის წესი. ამჟამად ანალიტიკურ ჯგუფში მიღებულია და შესწავლის პროცესში 2 სისხლის სამართლის საქმე;

3. სისხლის სამართლის საქმეთა კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ასევე წარმოადგენს საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება, როგორც თბილისში, ისე რეგიონებშიც. ამ მხრივ აუცილებელია ჩატარდეს ლექციები და ტრენინგები, რომელთა მიზანი იქნება მოქმედი ადვოკატების კვალიფიკაციის ამაღლება. ადვოკატთა წახალისების მიზნით უნდა გამოცხადდეს კონკურსი სისხლის სამართლის სფეროში საუკეთესო ადვოკატების გამოსავლენად. ახლო მომავალში იგეგმება კრებულის გამოცემა, სადაც განთავსდება სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე ადვოკატების საუკეთესო ნამუშევრები.

4. სისხლის სამართლის საქმეთა კომიტეტის მიერ ყველა ზემოთ დასახელებული საქმიანობის განხორციელებას აუცილებლად ესაჭიროება სათანადო დაფინანსება, რაც კომიტეტში მოწვეული სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას, კონფერენციების, სემინარების, ტრენინგებისა და ლექციების დაფინანსებაში გამოიხატება. ამ საქმის განხორციელება ნაწილობრივ ევალება ადვოკატთა ასოციაციას, ნაწილობრივ კი საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებს. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის საკანონმდებლო ნორმების შესწავლას, არსებული სასამართლო და საგამომიებო პრაქტიკის გაანალიზებასა და მათ მისადაგებას საერთაშორისო სტანდარტებთან. სისხლის სამართლის სფეროში არსებული უაღრესად რთული პრობლემების შესწავლა და მათი გადაწყვეტის გზების მოძიება დღეისათვის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.